

ფრთხი

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მომწერა მიიღებ რედაქციაში. ზარზე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дროზა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა— 8 მ., ნახევარ წლისა— 5 მ., სამის თვის— 3 მ., ერთის თვისა— 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დღეობით ასოზე 1 კაპ., რეკლამისათვის ცალკე— 5 კაპ., პატარათი— 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ დღე ორგაბათს გარდა

რადგან მელიქიშვილის სტამბა, რომელშიაც „ფრთხი“ იბეჭდება, მეორე სადგომში გადაქონდათ, ამის გამო გუშინდინ და გუშინ (პარასკევსა და შაბათს) გაზეთი არ გამოდის.

ეს სახელმწიფო მამულები, ტახტის კონტრაქტის დაუთმობო. შედეგი სტამბოლში აიღეს; რეგენტად (მგვიბტის დროებით მმართველად) თეფჩიკს სტოვებს.

„მშაკში“ ეწერა, რომ შოცხოვიდამ და აჭარიდამ ხალხს არზრუმისაკენ გადადისო. შუ. შოცხოვის პრისტავს ოფიციალური ცნობები მოჰყავს, რომელიც ამტკიცებენ, რომ შოცხოვის სპრისტავში სულ 800 მოსახლე არისო და ამ რიცხვიდამ ოთხი კაცის მეტი არაფერ წასულა მსმალეთშიო, ისინიც დროებით ჩამოსულები იყვნენ აქ სავაჭროთაო.

საქართველო

დღიური

რაიცა შეეხება აჭარიდამ სამოცი ათასის კომლის გადასახლებას, შუ. პრისტავი ამამაც ძალიან დიდ ეჭვს აცხადებს; ჯერ ერთი ეს რომ აჭარაში ამის ნახევარი კომლი სულაც არ სახლობო და მამ ამდენი საიდან გადასახლდებაო, უეჭველია. კორკესპონდენტს გაუზვიადებიაო და სხე.

„მთ. მოამბეში“, რომ კალია თან-და-თან იწევს ჩვენგანაო, ამ ქამად მცხეთიდან წილკანის სტანციამდინ მთელი ყანები და ბაღები გაათუქაო, სოფლებს მუხრანში, შსოვრისში, ნატახტარში და წილკანში თითქმის ძირიანად ამოაგლო ყველაფერიო.

შოთილამ გვეწერენ: „ამ ივნისის მამ გარდაცვალი ერთი სომხის დედაკაცი და რადგანაც აქაურ სომხებს მღვდელი არა ჰყავთ, ძალიან სწუხდნენ უღვდლოთ დამარხვისათვის; იმოდენი შეძლება არა ქონდათ მიცვალებულის ჰირისუფლებს, რომ შორიდან მოეწვიაო.“

„ამ დროს იმათ იღბალზედ გაჩნდა ერთი უცხო მღვდელი სადღაც მგზავრათ მიმავალი (ეგონებ, სტამბოლში) იმას სთხოვეს, რომ ეწირა; ისიც მოგზადა იმ ღამეს წესისამებრ, რომ მეორედღს წირვა უნდა დაეყენებინა.“

„7 ივნის“, როდესაც ზარის რეკა დაიწყეს და მიცვალებული შეასვენეს ეკლესიაში, ბევრი ხალხი წავადა, უხაროდათ, რომ ძლიერ ერთი წირვის ღირსნი გავხდით დღესაო! მაგრამ, საუბედუროთ, ნახეს, რომ ყოველივე ეკლესიის სამკაული, თუ ღვდლის შესამოსელი, თუ წირვის შესასრულებელი საკითხავი წიგნები, თუ ჯვარი, ტრაპეზზედ გაფენილი დიდი ხალხი, წყლის საკურთხი ჭურჭელი და სხვა ესენი სუყველა მოუპარამს და წაუღია უწინდელს აქ ნამყოფს ღვდელს შ.პ.ტ.—ოვს და ბათუმში წაუღია! ღარჩა ხალხი პირ-დაღებულები ამ გვარი ეკლესიის გაცარცვისათვის, რომელთაც სურდათ წირვის ღირსნი გამხდარიყვნენ“

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოში)

ლონდონი, 11 ივნისს. მგვიბტეს შედეგი უარს ამბობს ტახტიდამ ხელის აღებაზედ; საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებს უთხრა იმან, რომ სულთანს მიმართონ. საშუალებას ხმარობენ, რომ მგვიბტის ხაზინის მოვალეები დროზედ იქმნენ დაკმაყოფილებულნი. ბერმანისა და აქსტრიის ელჩები მოდიან აქ იმ განზრახვით, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მოთხოვნები მიემხრონ.

კიევი, 12 ივნისს. ზაზეთს „ტიველიანში“ დაბეჭდილია ჩივირის საქმე, რომელიც აქაურს პალატაში გაარჩიეს გუშინ: ბრალდებულნი იყვნენ სულ 45 გლეხი. მოთავენი არა-გლეხნი: სტეფანოვიჩი, დეიჩი და ბანოვსკი საპრობოლის ყარაულთან ერთად გაიქცნენ შარშან ტივეის სატუსალოდამ და ჯერ ვერ დაუჭერიათ. სასამართლომ გადაუწყვიტა: ნ ბრალდებულს, რომელნიც ეკუთვნოდნენ საიდუმლო აღკრძალულ საზოგადოებას, გასაწრთენელ სატუსალოში დამწყვდევა 2 წლამდინ და 9 თვემდინ, და ერთს ორი თვით ციხეში დამწყვდევა, დანარჩენები ყველა გაამართლეს.

მენა, 13 ივნისს. ბუშინ დაიწყო ავსტრიაში კენჭის-ყრა რეიხსტაგის დებუტატების ამოსარჩევად.

პეტერბურლი, 13 ივნისს. ბოლგარის მოთავარი 20 ამ თვის წაეა ბოლგარიაში.

ბაირი (მგვიბტე), 14 ივნისს. მერობის სახელმწიფოების ელჩებმა გამოუცხადეს მგვიბტეს შედეგს, რომ მსმალეთის მმართველობამ გადაწყვიტა იმის გადაყენება ტახტიდამ და მგვიბტის ახალციხე-კაროლად ხალიმ-ფაშის დანიშნვა; ელჩები ურჩევენ შედეგს, რომ თეფჩიკ-ფაშას დაუთმოს თავის ტახტი; შედეგი თხოვლობს, რომ იმის სახლობას მიე-

მოამეტებული ნაწილის აზრი ის იყო; რომ საყასბო გავმართათ აბანოების მახლობლად უფ. პარუმბეგოვის შენობაში, რომელიც ადრე მმართველობისაგან საკუთრივ საყასბოდ იყო დანიშნულიო.

ბოლოს, ბევრი ბაასის შემდეგ, რჩევამ გადაწყვიტა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ქალაქს მიეცეს უფლება საყასბო ისევ პარუმბეგოვის შენობაში გაკეთდეს.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ბაქო-თფილისის რკინის გზის მუშაობას წელს უნდა შეუდგნენ. როგორც მოგვხსენებათ, ამ გზის გაყენა ღარჩა იმავე კამპანიას, რომელსაც შოთი-თფილისის რკინის გზა ეკუთვნის. „თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ შოთი-თფილისის რკინის გზის გამგებელი უფ. ბუნგე პეტერბურლში არის ამ ქამად ნახმობი ამ ბაქოს გზის თაობაზედაო.

რკინის გზის შტოზე, რომელმანც ახეტზე უნდა გაიაროს, ჯერ სრულიად არა ისმის-რა..

დღევანდელს „ბაქოში“ დაბეჭდილია წიგნი უფ. შოცხოვის პრისტავისა იმ ამბის თაობაზედ, რომელიც

და მიცვალებულიც გაეპატონებინათ. ის სამკაულები იყო სხვა-და-სხვა პირებისაგან შეწირულები შოთა ეკლესიისათვის და ეკუთვნოდა შოთის სთქნის ეკლესიას და არა სხვას ვისმეს. ამისათვის მოველეთ არაა სასულიერო წოდება ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს“.

* * * ჩვენ გვხოვენი დაგვტყდით გაზეთში შემდეგი ანგარიში იმ წარმოდგენებისა, რომელნიც ამას წინათ ყოფილა გამართული ზორში:

„შეორჩილესათ ვთხოვთ, უფ. რედაქტორო, გადუხადოთ გულითადი მადლობა ჩვენს მაგიერ ქ. ზორის საზოგადოებას და მოახსენოთ, რომ ფული მათგან შეწირული ს. მეტეხის და ზომის სასოფლო შკოლების სასარგებლოთ, რაისათვისაც იყო ქ. ზორში გამართული ორჯელ ქართული წარმოდგენა, ერთი ამ ახალიწლის წინაღობებში და მეორეც ამ ყველიერის კვირადღეს, ის ფული მოჰხმარდა მეტეხის სასოფლო შკოლას ასე:

„ორივე წარმოდგენიდან შკოლების სასარგებლოთ 119 მანეთი შემოვიდა, რომლის ანგარიში მაშინვე იყო წარდგენილი ზორის მარზრის მმართველთან და ეს ხსენებული ფული მისი თანადსწრობით გადმოეცა ამ შკოლებს. ამ ფულის ნახევარი 59 მან., 50 კაპ. ერგო მეტეხის შკოლას და იქიდან შეიძინა მან „თავისუფალ-ეკონომიურ საზოგადოებისაგან“ გამოცემული სურათები (картины Вольно-Экономического издания) 10 მან., ქურნალი „ივერის“ გამოწერაში 12 მან. კვიტანციით გადაეცა ს. მეტეხის საზოგადოებას სასოფლო შკოლის შენობის კირისთვის 26 მან. და 40 კაპ.,—11 მანეთი და ორი შაურის ლანხარჯა შკოლის ზალის კედლებს შესაღებათ.

მეტეხის შკოლის მასწ. ზაქ. ბუღისაშვილი.

* * * საგნები, რომელზედაც უნდა მოილაპარაკოს ძალაქის რჩევამ დღეს, შაბათს და მომავალ ორშაბათს.

მოახსენება კომისიისა ბირჟის იზვოს ჩიკების ტაქციის თაობაზედ;

ზანცხადება დ. ი. შიფანისა ხმოვანობის თანამდებობიდან განთავისუფლებზედ;

ზანცხადება ნატალია შოავეის ანდერძის აღმასრულებლობაზე ამ ანდერძის შესახებ;

ზამგეობის დასკვნა სასაფლაოებისათვის ადგილის ამორჩევაზედ;

ზამგეობის მესამე წერის კანდიდატის ამორჩევა და სხვ.

დროები კორმსპონდენცია

მოგულეთი, 10 ივნისს. ძაი ხანია, რომ მე თქვენი გაზეთს დასაბეჭდავთ არაფელი მომიწერია და ნუ გამიწერებთ. მხლა მინდა რამოდენიმე ჩემი აბ-

დღული წერილით გაცნობოთ ჩვენი ქობულეთლების მდგომარეობა.

თქვენ კი მოგვხსენებთ ყრუ ხანოს ამბავი; იქ ექვსი სოფელი თითქმის იყო იყო, რომ არაფის ბრძანება არ ეყურებოდათ და გადასასახლებლათ იყვნენ მომზადებული.

ზემო-ხანოს იყო ერთი ოჯახი ბერი ცუდი საქმეების მქნელი ძველათაც და რუსი რომ ჩამოვიდა მერეთაც. იმ ოჯახში სხვა-და-სხვა ავაზაკები შეიყარება ოც კაცამდის და რაევაც იმ ექვს სოფელს, ისე ახალციხეობს, შავშეთლებს, და აჭარლებს ძალიან აწუხებდნენ.

ჩვენმა ნაჩაღნიკმა ითხოვა ნება ლუბერნატარისაგან წასვლა იმ სოფლების დასამშვიდებლათ და 4-ს მისა მიიღო ნება და წავიდა ჯარით. რააკვორველია, რაევაც მივიდა, ავაზაკები დაიფანტნენ რაევაც დაფეთებული ყურღლები. ღარჩენ ტყეში ოთხი ხინოვლები. ნაჩაღნიკმა მოითხოვა სოფლიდან ან დაჭირვა, ან მოკვლა და ან რომ წასულიყვნენ ისინი მსმალეთში. სოფლებმა მისცეს ნაჩაღნიკს თოხმეტი გამოჩენილი კაცები ქეფილათ (თავდებად), რომ ისინი აღარ მიუშობენ იმათ სოფელში და თუ მივლან, მოკვლენ, ან დიქირენ. ის ოთხი კაცი გვიდენ მაშინვე მსმალეთში.

რაევაც რომ შეიტყვეს ხინოვლებმა, რომ რუსის ნაჩაღნიკს კი ქონია ძალი მთავრობიდან, ყველამ სილაღი (იარალი) დაწყო და კარგი ფართო თოხები ეიღეს და ახლა მუშაობენ სიმინდებზე; აქ ყველას პირუტყვა გაშობილი ყავს ბალახზე და არც ეკარგის, ამიტომ რომ გზებზე ყოველგან, სადაც შეაყარო გზები არის, დააყენა ნაჩაღნიკმა ყარაულები.

ახლა მგონია მისდღემიდაც არ იფიქრონ მსმალეთში წასვლა; მარა მეორე ხათბალა ატყდა:

სიმინდი ყოლგან და თესლი რომ თათრის დროშიც არ ყოფილა, ისე ახლაც სამუშაო სოფლათ არაფელი გვაქ, და ყოველი კაცი თხოულობს სამსახურში დაწერას. ჩვენმა ნაჩაღნიკმა ბევრი იფიშმანა (იფიქრა). რა ექნა და ბოლოს ველიკი ძნიაში ძასა ტანტილე ნიკოლაევიჩის მობრძანებდროს წაგვიყვანა ბათუმს და ლუბერს ნატარის შეამდგომლობით კნიაზ მარსკის სთხოვეს, რომ სამსახურში მიიღონ 300 ქობულეთელი მაინც. ძნიაზ მირსკიმ ძალიან იმედი მოგვცამალე მოვიწერებო, რომ მივიღონო. ახლა ყველამ ცხენები ივალეს აჭარიდგან, ბურიიდგან და ლაზისტანიდგან და პირდაცეცებული უცდიან ბრძანების მოსვლას.

აქი ჩვენი გაჭირება, ჩემო ძავე მეგაზეთე, შეატყობიეთ ვისიც საქმე იყოს, ბელქი მოგვეხმარონ და მალე მიიღონ სამსახურში აგი ჩვენი დელიყანდები. მართი რიჯა კიდავ მაქ თქვენთან: ერთ თქვენ გაზეთში ეწერა, რომ მობულეთის ნაჩაღნიკმა ოთხი ბინი (ათასი)

მანათიდგან, ქობულეთის მხარეებისთვის გადმოცემულ რომ ქობულეთში, მოსახლეზე ათი ყურუში დაარჩიგაო და სხვა ჯაბეში ჩეიდგაო. მეორე იმა გაზეთში ეწერა კიდავ, რომ სახვანთქრო ტყიდგან ნაჩაღნიკი იმის მესედს ქობულეთლებს არ გეძღვეს ხეებს, რასაც სხვებზე ყიდისო.

ამ გაზეთის მერე სამოწყალო ფულები მოგვიტანა სკრგი-ბეგმა; მაშინ ნაჩაღნიკი მობულეთში არ იყო და იმ გაზეთში ჩვენი ნაჩაღნიკის განცხად რომ ეწერა, იმაზე სოფლიერებს კითხა: ფარა რავე მიიღესო და ტყეს თუ მართლა ყიდის ნაჩაღნიკო, ან რავე გაიარა და რაფარი კაციაო. აქი ამბები ყარაფელი შეიტყო მართალი და შეგვიბრდა, რა მე გაზეთში დაწვირ იმ უწინდელი გაზეთის პასუხაო, და პარ-გაცეცებული უყურებთ, მარა ჯერ არაფელი იყო და მგონია იმ სკრგი-ბეგმა მოგატყუა. ჩვენ შეხეჯით კაცს ვერ ვიცნობთ, მარა ამისთანა სახე ქანდა სკრგი-ბეგს, ტყული არ უნდი იცოდეს. ალა-სენ, ძავე, იმა-აც შეატყობიე დაწვიროს რაც შეიტყო ჩვენი ნაჩაღნიკის საპართლე, ან სიმტყუნე. ჩვენი ნაჩაღნიკი რომ ამ საქმეში მტყუანი არ არი, იმაზე თუ გინდა თელი ქობულეთლებო ქითაფზე დავიფიცავთ, და თუ ვინმე ქობულეთელმა გლახათ უთხრა, ისიც დავიწვიროს.—

მა წიგნი რომ გავათავე, ხინოვლი უსუფა-მადლიშვილი ჩამევიდა და მითხრა, რომ ხინოში თხა და მგელი ერთათ არიან მინდორშიო; მარა მგელი ვერ ბედავს თხას რამე აწვიროსო, ცეშინია, ნაჩაღნიკი შეიტყობს, ესკერიო ამოვა და გამაფაქებსო. ძაცი ხინოში ახლა ფრთ საქმეს ვლარ მორთავსო...

ახლელ ძაკაცისშვილი.

სიღნაღი, 9 ივნისს. მოგვხსენებთ, ბატონო, ქართული ანდაზა—„სოფელი რომ უძალოო დაინახო, უჯროთ დაიარეო“. ჩვენშიც აგრე ვახლავთ: საზოგადოთ არავინ მოიბოვება, რომ ღირსეულად დაფასება შეეძლოს რომელიმე მოქმედებისა და ქცევისა. მაგ. ჩვენში რაც უსწორო-მასწორობა, უწესობა, უსამართლობა მოხდეს ჩვენ აყროლებულ ქუჩებში, მკითხავი არავინ არის, ღირსეულათ დამფასებელს ვერავის მოიბოვებთ. სამაზრო უფროსი ფრთხილი და მკაცრათ მოქმედი პირია, ავსა და კარგ თავის ქვეშევრდომებში მალე გაიგებს ხოლმე, მაგრამ განა შეიძლება რაც გაიგოს, მაშინვე განახორცილოს? ცოცხნი კი კარგი ხანა უჭირავს ხელში, რაც ნაგავია პოლიციამი გვის, მაგრამ კიდე ბევრი დარჩა გასაწმენდა. აქაური ორი პრისტავები განაშორა თავის ალაგებს და ღირსეული პირები დააყენა მათ ალაგებზე. უეხდის პრისტავები და სიღნაღის პრისტავების პომოშნიკები იმ გვარი პირნი არიან, რომ თავის პრისტავეს ხელის ფრჩხილათ იხმარებენ.

მართლაც და დემოკრატიკ აგვაშორებს ჩვენი ქალაქის მსგავსი პრისტავი; ეს ის პრისტავი გახლავს, რომელმაც თქვენ გაზეთში იყო მოხსენებული, ერთი ვიღაცა ქალი შეათრია ცაზეშიო; ეს ის არის, რომელმაც შარშან ჯარიანობის დროს, როგორც ვერცხვ თქვენ გაზეთში იყო მოხსენებული, ერთ აქაურ სომეხს გამოართვა ოთხი თუმანი მილიციას ავადღენო, მაგრამ ტყუილათ ოთხი თუმანი დაკარგა და მილიციამაჲც წავიდა; ეს ის პრისტავი გახლავს, რომელიც ერთი კვირა მკალიამი იჯდა, მთელი უეხდი მოაქდინა, ხალხი შეყარა, თითონ კი მოუჯდა ხურჯინს დიდი ტყით შავს ღვინოს და „არი-ალალო“ იძახა მშვენიერ შიზიყის მინდვრებში მაისის კვირებში, და ბოლოს დაბრუნდა სილნალში, პირ-შერცხვენილი, სანამ თვითონ უეხდის უფროსი არ მიადგა; ეს ის პრისტავი გახლავს, რომელმაც შარშან სიმთვრალეში, როდესაც სილნალელებს ტყვიისაკენა ჰქონდათ გულები მიფიცრული, ფეხი მოიტეხა და მთელი წელიწადი შინ იწვა, ჯამაჯირს კი იღებდა, გასუქდა მშვენიერათ ქართული ანდაზისა არ იყოს: „მეყარა-და, მამავე, ქეფი დაწე და დიძინეო“. ამის ყველა მოქმედება ჯერ კიდევ ვერ შეუტყვია უეხდის უფროსს, თუმცა ეჭვი კი აუღია და ხმები დადოს, ვითომც ბოლოს მოღებას უმცხადებსო. ძრიელ კარგათ ინებებს, სილნალაც ეშველებო. ან ესლო რა პრისტავობა აქვს; დეპუტატები არაფერს ჰკითხვენ, ხალხს არაფრათ მიანიხა, უფროსს კიდევ ხომ თვალში არა ჰყავს. თუმცა ასეა, მაგრამ მაინც ბევრს გველურ და საზოგადო მაზნეგარ მოქმედებას ახდენს.

მუშინწინ ერთ აქაურ ყაღბის შვალსა სცემეს, ნაცემის მამა და ძმა წავიდნენ პრისტავთან საჩივრელათ, პრისტავმა სცაყა ხელი და და ორივე ნაობახტში ჩაყარა—როგორ გაბედეთ ჩემ ბრწყინვალეების ძილი და განსვენება გამიფრთხეთ უღრობათაო! „პრას მომცემ, პირსაც მომტეხო?“—

რაც პრისტავია სბორჩიკიც თავისი მსგავსი ჰყავს. აქაური სბორჩიკი—ნამდვილი ყიზილბაშელების შაჰი გახლავს, ერთის მაგიერათ სამი დავთარი დაქვს, როგორც უნდა ისრე სწერს, ზოგ ნომერს მოშლის, როცა უნდა გადაასწორებს, ხან კიდევ სულ სხვას ჩაუმატებს; მასთან დიდი ხანია მილიცია დაიშალა და ხარჯს დღესაც კრეფავს, მილიციების ჯამაჯირიაო. იმ დღეს ჩაიგდეს ხელში ერთი სხვა ქალაქიდან თუ სოფლიდან მოსული მცხოვრები; სბორჩიკმა მოატანა და სამი ჯლის ხარჯი ერთათ წაართვა, თუმცა ამ წინა ორი წლის კვიტანცია ხელში ეჭირა.—მართი კიდევ მოატანეს, ისიც უცხო. ჯერ დავთარში არ ყოფილიყო ჩაწერილი, გული გაეხეთქნათ—წინა წლისა არ მოაცილაო; ავილა ამ საცოდავს, ერთი თუმანი ჯიბეში ჩაუდგია, არ გამომაჩინო.

მაგრამ რაც არის, განა ამის მეტი არაფერი ხდება... მანა ყველაფერი გამოვა, ყველაფერი განათლდება,—ან განა თუნდაც გაცნობილი და გაგონილი იყოს ყველაფერი დაიწერება..!?

იპა.

თმაბრი

საზაროვის ქალის განმეხისი

მუშინწინ, 13 ივნისს, საზოგადოებრივ მოქმედებათა კომიტეტის მიერ მოწვეულმა ტრუპამ, ზოგიერთ სცენის მოყვარეების დახმარებით, წარმოადგინა მოლიერის სამ-მოქმედებიანი კომედია „ეჭვით ავთამყოფი“ და უფ. ა. შიჭინაძისაგან გადმოთარგმნილი ერთ მოქმედებიანი ვოდვეილი „მოტიამ“.

წარმოდგენა დაიწყო სუსტად, თითქო უკულოთ. პირველი ორი მოქმედება მოლიერის მეტად სცენიკურის კომედისა, რომელიც იმნაირათ არის დაწერილი, რომ ყოველ სიტყვაზე და მიხვრა-მოხვრაზე უნდა აცინებდეს მაყურებელს, ისე ვაგიდა, რომ ერთხელაც არავის გაუცინია მადიანათა მაყურებლებს კინაღამ ძილი მოერიათ, თუმცა საფაროვის ქალი ყოველ დონის-ძიებას ხმარობდა, რომ „პუბლიკა“ მაინც გაემნაირულებინა...

მესამე მოქმედებიდან მოთამაშეებმა ცოტა არ იყოს მოუშატეს სიცოცხლე და მარტილი თავის თამაშსა და მაყურებელსაც გამოახილეს თვალები.

არგანის (ეჭვით ავთამყოფის) როლი ისეთი „მადლიანი“ როლია, რომ იმის თამაში ყველა ცოტაც არის ნიჭიერ აქტიორს, თუ ეცდება, ძალიან კარგად შეუძლიან. მერ ვიტყვი, რომ უფ. სუქიასიანმა გააფუჭა თავის როლი, თუმცა ის ჩვენის აზრით, ერთობ მომეტებულად ხენესოდა, ვენეზოლა და იავათ-მყოფებდა თავს. მაგრამ უმთავრესი ნაკლულეფანება უფ. სუქიასიანის აზრს „დიქციის“, ლაპარაკის ნაკლულეფანება; კარგი, გარკვეული სიტყვა და ხმა არა აქვს; ქართულსაც როგორც ნამდვილი ქართველი, ისე ვერ დაპარაკობს.

უმთავრესი როლი ამ კომედისა არის გოგას—ტუანეტას როლი; ტუანეტა ეშმაკი, გამოქნილი გოგოა, რომელიც მთელს ოჯახს ატრიალებს და ყველას ცხვირით ატარებს. საფაროვის ქალი, რომელიც სწორეთ ამგვარ როლებსთვის არის გაჩენილი, რასაკვირველია, ჩვეულებრივი სიცოცხლითა და ნიჭით ასრულებდა ამ როლს; და მესამე მოქმედებაში, როდესაც ცრუ-ეჭიმა არდგენდა, არა გვეღნია, რომ ეს ადგილი უკეთესის ხელოვნებითა და ნიჭით წარმოადგინოს რომელიმე სხვა გამოჩენილ მოთამაშემაც. მაგრამ საზოგადოთ იმის თამაშზე დღესაც ის უნდა გავიმეოროთ, რაც ამას წინათ ვსთქვით: გადაჭარბება,

მარსი დაიწყო. რა იყო, მაგალითად, ეს მულამ ხელების პარკუნა... მარსის ცხირში შეტენა? ან თუ... გასაცინებლად, რა საჭირო იყო ამნაირად ბალიშის ჩამოფხატნა მამავე არგანის თავზე და კიდევ თავში ჩაკერა, ისიც ქალბატონთან?

საფაროვის ქალს აქვს უეჭველი ნიჭი; თვითნაც მოხდენილისაზისა და ლაზათიანი, გრაციოზული მიხვრა-მოხვრის პატრონია. იმის შეძენა ქართულის თეატრისათვის ძვირფასი შეძენაა. მაგრამ ეს ქალი ჯერ ახალი მოთამაშეა, ახლად გამოდის სცენაზე და ამიტომაც იმას ეჭირება რიგიანი ხელ-მძღვანელი, კარგი მასწავლებელი; ეჭირება აუხსნან, რომ რაიოკისთვის მოთამაშე ყოველთვის ღუპავს, მარხვე თავის ნიჭს. მართი სიტყვით, საფაროვის ქალს ეტყობა ურყეისობა.

საზოგადოებამ, რასაკვირველია, დიდს აღტაცებითა და ხანგრძლივის ტამის-კვრით მიიღო ბენეფიციანტე; საჩუქრებიც მიაართვეს: ოქროს საათი ზედ-წარწერილ

„მიეციო ნიჭამ გზა ფართო!“

თავიგული და გვირგვინი. შევლაზე ჩინებულად და უნაკლოლოთ კომედიაში თავის როლი დასრულა უფ. შიშინაშვილმა (მომა ლიფაროუსი). იმის სემინარიელსავით გაზეპირებული ლაპარაკი, იმის იდიოტური შეხედვა და ულაზათო მიხვრა-მოხვრა და საზოგადოთ მთელი იმის თამაში ერთ რამედ ღირდა.

ორიოდე სიტყვაც დანარჩენ მოთამაშეებზედაც.

უფ. მ. აბაშიძე ამ დამეს, როგორც ეტყობოდა, გუნებაზედ არ იყო, როგორც უსულოთ და უხალისოთ თამაშობდა, თითქო მოვალეობას ასრულებსო და არა არტისტი თამაშობს თავის როლსო. ამას გარდა ამ საზოგადოთ ჩინებულ მოთამაშეს ერთი ცუდი ჩვეულება აქვს: თავის დღეში როლი არ იცის...

ბორინთელის ქალმა თავის როლის (ბელინა—არგანის მეორე ცოლი) ასრულებით დაამტკიცა, რომ იმას კარგათ შეუძლიან გაიძვერა დედა-კაცის როლის თამაში.

ალმუროვის ქალს, საუბედუროთ, ხმა არა აქვს, თორემ გასათხოვარი ქალის როლს, უეჭველია, ურიგოთ არ ითამაშებდ.

დნარჩენების როლები ისეთი მცირე როლები იყო, რომ იმათზედ თქმაც არა ღირს.

კომედის მესამე მოქმედების შემდეგ გამნაირულეებულ საზოგადოება კიდევ უფრო გამოაფხინლა და გაამნაირულა ვოდვეილმა „მოტიამ“ და უფ. ა. მესხის შეუფერებულმა იუმორმა.

„მოტიამ“ უბრალო სამასხარო ვოდვეილია რუსის ცხოვრებიდან. მთელი მოქმედება დამყარებულია იმაზე, რომ მოხუცებულ მამას (ბ. მესხი) არა ჰსურს ქალი (საფაროვისა) მოიშოროს თავიდან, არ ჰსურს გაათხოვოს, და ამის გამო ვინც სასიძოები მოდიან, თითო რალაც „ხრიკს“



მოუღებ და ისტუმრებს ხელ-ცარიელებს; იმის დას (ზაბუნის ქალი), რომელიც და-ექვისის წლის გაუთხოვარ ქალს, თვითონ ალბათ გულ-დაჩაგრულს უქმრობისაგან, უნდა რაც შეიძლება მალე გაათხოვოს თავის ძმის-წული და მზითვესაც ჰპირ-დება, თუ იმის ნებაზე გათხოვდება მო-ტია. მამა ორ ცეცხლს შუა: არც ქა-ლის გათხოვება უნდა და დის სიმდიდ-რის დაკარგვისაც ეშინიან.

მე პირველად ვხედავდი უფ. პატე მესხის თამაშს და უნდა გავტყდე, რომ ჩემზე და მთელ საზოგადოებაზედაც ამ არტისტიულმა თამაშმა სწორედ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

შთაბეჭებული ნაწილი ჩვენი პატიო-რებისა და აქტრისების ნაკლულეფანება ის არის, რომ იმათ თამაშობაში თამაში, მოქმედება არ არის; ისინი გამოდიან სცენაზე, წარმოთქმენ თავიანთ როლს და მიდიან. ნამდვილი კომიზმი კომიკუ-რად თამაშში მდგომარეობს და არა კო-მიკურად სიტყვების წარმოთქმაში. მი-ხვრა-მოხვრა, მოქმედება კომიკისა უნდა იყოს სასაცილო და არა სიტყვები; ლა-პარაკის დროსაც ჩვენი მოთამაშეები ჭაგრად წარმოთქმენ, თითქო ხაზს გაუს-მენ ხოლმე იმ სიტყვებს, რომლებმაც, იმათის აზრით, საზოგადოების ყურად-ღება უნდა მიიპყრა და მაყურებელი გააციონოს. ამას მხოლოდ სუსტი და ჭარბიორი აქტიორი მოთამაშე იკადრებს; ნამდვილი მოთამაშე კი თავის დღეში არ დაგრებს სიტყვას, არასოდეს არ დაი-მანჭება არც თვითონ თამაშის დროს. ძარგათ წარმოთქმული სიტყვა, რიგინი მიხვრა-მოხვრა და ქესტიკულაცია თავის-თავად, ძალ-დაუტანებლად, მოთამაშე-საგან ხელის-მიუთითებლად მიიქცევა პუბლიკის ყურადღებას.

ეს ნაკლულეფანება არა აქვს უფ. პ მესხს; იმას აქვს თამაში და ამ თამაშში იხატება მომქმედი პირის ხასიათი, ტიპი, მოქმედება.

მრთი პირველი იმის გამოსვლა და ხმა-ამოუღებლად გავლა-გაშოვლა სცე-ნაზე—საკმაო იყო მაყურებლისათვის იმის გასაგებად—თუ ვისთან აქვს იმას საქმე და რა ხასიათის კაცი უნდა წარ-მოადგინოს მოთამაშემ.

ამ გვარი ტიპის (რუსის მოხუცებუ-ლი ჩინოვნიკის მხაცისი) წარმოდგენა პირველი წარმოდგენა ჩვენს სცენაზე, ამისთანა ხასიათი ქართულად ჯერ არ გამოყვანილა და ამ ტიპის ასე ხელო-ვნურად დახატვამ უფრო დაგვარწმუნა ჩვენ, რომ უფ. პ. მესხს ნამდვილი სცე-ნიკური ნიჭი აქვს.

ამასთანავე ერთის შეხედვითვე შეატ-ყობს კაცი, რომ უფ. პ. მესხი მარტო თავის როლის გახეობირებას და სცენაზე ჩარაკრავებით წარმოთქმას როდი ცდი-ლობს; ის სწავლულობს წარმოსადგენ ტიპს, იმის ხასიათზე ფიქრობს, ერთის სიტყვით მთელი იმის არსება ნათლად წარმოდგენილი და გაოხნატული აქვს გონებაში.

მრთი ბედნიერება პ. მესხისა კიდევ ის არის, რომ მუთისის სცენას, სადაც ის მუდამ თამაშობს, რაიოკი არა აქვს და იმის გულის მოსაგებად და ტაშისა-თვის სხვებსაგან არ აჭარბებს, ჭარსს არ ეწყობა.

მაგრამ ნაკლულეფანება, და საუბედუ-როთ, კარგა საგრძობი ნაკლულეფანე-ბა უფ. პატე მესხისა ის არის, რომ ლა-პარაკში ერთობ ჩქარობს, დალაგებით, გარკვევით ლაპარაკი უჭირს და სოტა არ იყოს იმერულადაც უქცევს. მაგრამ ამის გასწორება მკადინე მოთამაშისა-თვის ძნელი არ არის...

მთელი ეს სეზონი ჩვენ ტრუპას ვო-დევილებისა და ვოდვეილურ კომედიე-ბის მეტი არა უთამაშნია-რა. შრიგო არ იქნება, ჩვენის აზრით რომ ახლა ერთი დრამაც სცადონ; ახლანდელ ტრუპას აქვს იმდენი დონე, რომ შე-უძლიან დრამაც აიტანოს მართლა, ამ-ბობენ, უფ. პ. მესხი გამოსაცდელად გა-მოიყვანეს გუშინწინ სცენაზედაც; ამ გამოცდამ დაამტკიცა, რომ კომიკური როლის თამაში იმას შეუძლიან. მაგათ, ერთი მსტროვსკის „შე მოსა ელი ა-ნი ად გილი“ თამაშონ, რადგან ამ სერიოზულ კომედიაში, როგორც გავ-ვიგია, უფ. პ. მესხს დრამატული რო-ლი (შ დოვისა) აქვს.

განსხალებანი

პატევი გვაქვს გამოუცხადოთ უმ. ხონისა და აგრეთვე მზურგეთის მო-ვაჭრეებს; იენისიდან თფილისში ჩაბარე-ბული ქარვასლებიდან ყოველივე ხო-რაგი საქონელი გაიგზავნება თავიანთ ბინაზედ, ჩვენის ხარჯით, რომელსაც ვამწესებთ ხონამდინ ფუთზედ—50 კა-პეიკი და მზურგეთში ფუთზედ—75 კაპეიკი. ჩვენზედ ჩაბარებული საქონ-ლისა ნაკლულეფან დაკარგვის ვალ-დებული ვხდებით, პირობისამებრ, მოვძ-ლოთ თანახმად მოვაჭრეებისა.

ძანტორა იმყოფება: პირველი—თფი-ლისში (შარყმაზის ქარვასლა № 1) და მეორე—სამტრედიის სტანციაზედ. 2-რე გილი.

ზარსევან იაკ. რატიანი.

(4—2)

შუთაისში

პ. მესხის წიგნის პალაზიაში

ი ყიღება უამდები წიგნები:

1) იტჰვანი და მოძღვრებანი — თქმულნი იპერეთის ეპისკოპოსის ზაბ-რიელის მიერ. შასი 1 მან. და 50 კ.

2) იზივი, უკეთესი ქალაქზე დაბეჭ-დილი. შასი 2 მან.

3) რუსული დასაწყისი ენის კურსი მართვალთათვის (Практический на-чальный курс рус. языка для дружин) — შედგენილი ბ. პ. შვილის მიერ. შა-სი—60 კაპ. მინც 20 წიგნზე მომეტე-ბულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 30 კაპეიკად.

4) დედა მნა—ი. ზოგება შვილისაგან, 50 კ.

5) სიბრძნე სიტყვის წიგნი შა-სი — — — — 50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. ზოგება შვი-ლისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამ-ბაშიძისაგან — — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. შრის-თვისა — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილი—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანქა, პოემა ბ. შერეთლისა — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯა-ძისა — — — — 50 —

13) შარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი — — — — 30 კ. და 40 კაპ.

14) რძალი გული და გაუშენიკები — კომ. თუთაევისა — — — — 30 —

15) მართული კალენდრები 15 —

16) სახარება — — — — 25 —

17) „ბუთიაოზა“ ვოდვეილი აკა-კისა — — — — 20 —

18) „ვაი ჭაშისაგან“ კომედია გრი-ბოედოვისა, ნათარგმნი ბ. წინამძღე-როვისაგან — — — — 40 —

19) სოლომონ ისაიის მუჯლა-ნუაშვილი — — — — 30 —

20) მგოსანი—ლექსები— 20 —

21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

აქვე იყიდება ყოველნაირი სახელ-მძღვანელო წიგნები, რუსულს ენაზე კარტები, ატლასები, კალენდრები, რე-ვულები, კარანდაშები, მელანი, ქალა-ლი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო შოკლუბს ყოველგვა-რი წიგნები მიეძევა ნაკლუბ შასათ-მაღაზია იმყოფება მინაილოვის ქუჩა-ზე, ხარაზოვის სახლებში ძლუბის ქვეშ.

გამოვიდა და ისყიდება

„ბუთიაოზა“

ვოდვეილი

აკაპი წმკეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, მართანოვის და ბრიქტოროვის წიგნის მაღაზიებში, აგრე-თვე უფ. შავერდოვის ბაზეთის სააგენ-ტოში—ბულგარზე.

შასი—მრთი აბაზი.